ხელშეკრულება საქონლის შესყიდვაზე № 46
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გორი 21 დეკემბერი, 2020 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (ს/კოდი 218081590, შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მარინე გიუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ დავით ფანიაშვილი (პ/ნ 59001004340, შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ ს[1] " ქვეპუნქტის თანახმად, საკუთარი წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო საქონელი CPV22800000, CPV30100000

1.2. ხელშეკრულების ობიექტის ჩამონათვალი დანართი # 1-ის სახით თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს **67-80 (სამოცდაშვიდი ლარი და 80 თეთრი)** ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1.საქონლის მიღება დასტურდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი) საფუძველზე, ამასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, 2020 წლის **მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი დაფინანსებიდან.**

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 საქონლის მიწოდების ადგილია: გორი, სტალინის ქ. 2, ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

ბ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია: ა) სახელშეკრულებო ვადაში გადაიხადოს ხელშეკრულებით

გათვალისწინებული საქონლის ღირებულება.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან დირექტორი მარინე გიუნაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის შემოწმებას.

6.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობასმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარესშეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03% ოდენობით.

9.6. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.7. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი . 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, როგორც შემსყიდველის, ასევე მიმწოდებლის მხრიდან ელექტრონულად დამოწმებული ხელმოწერით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

საქონლის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 22 იანვრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

მიმწოდებელი

ი/მ დავით ფანიაშვილი

მისამართი: გორი, ჭავჭავაძის ქ # 61
ტელეფონი: 579105808
საიდენტიფიკაციო კოდი: 59001004340
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ანგარიში: GE58TB7671045063600026

ი/მ

დავით ფანიაშვილი /---------- /

შემსყიდველი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
მისამართი: გორი , სტალინის ქ. # 2
ტელეფონი: (0370) 274685

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

დირექტორი

მარინე გიუნაშვილი /----------/

დანართი 1

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთეული ფასი	თანხა	CPV კოდი
1	2	3	4	5	6	2
1	რვეული, 96 ფურცლიანი	ცალი	12	1,10	13,20	CPV22815000
2	ტექსტმარკერი	ცალი	6	0,60	3,60	CPV30192125
3	მარკერი პერნამენტი	ცალი	10	1,00	10,00	CPV30192125
4	CD დისკი	ცალი	10	0,70	7,00	CPV30192700
5	სახაზავი	ცალი	5	1,00	5,00	CPV30192700
6	ჩასანიშნი ფურცლები	ცალი	3	5,00	15,00	CPV30196200
7	ფანქარი	ცალი	10	0,30	3,00	CPV30192130
8	საშლელი	ცალი	5	0,50	2,50	CPV30192100
9	სათლელი	ცალი	5	1,00	5,00	CPV30192133
10	საკანცელარიო მაკრატელი	ცალი	1	3,50	3,50	CPV30192700
	ჯამი				**67,80**	

სამოცდაშვიდი ლარი და 80 თეთრი

სულ თანხა სიტყვიერად